მაგონდება ზაფხული და ლურჯთვალა იები... გაზაფხულო ლამაზო, როდის დაგვიბრუნდები?

საქართველო


გაუმარჯოს ამ ზეცას, ამ მოახს და მდელოს, გაუმარჯოს, გაუმარჯოს ტურფა საქართველოს!

გაზაფხული

ამოვიდა მზე, აშრილდა ტყე, გაზაფხული მოსულა, გავახლისდით ჩვენც.



ანა ბეჟანიშვილი თბილისის მე-11 საშუალო სკოლის II კლასის მოსწავლეა. ძალიან უყვარს ბალერინების, გაპრანკული გოგონებისა და ქალების ხატვა. ოცნებობს ბალერინობაზე და კბილის ექიმობაზე. ასევე ძალიან უყვარს ანას ცხოველები, განსაკუთრებით მაიმუნები, და მულტიფილმები.



F-6502



იზაბელა, მწვანე ჯაჭილთა!

საბავშვო გამომცემი
ბიზნეს ცენტრი
ბიზნეს ცენტრი

დროის მანქანა

მოთხრობა



ჩარლიმ ვერანდა გაიარა, დააკაუნა და სახლის კარი გააღო. ბიჭებმა კისრები წაიკარქელეს, ბჭქელ, ბნულ წინკარს მიმოავლეს თვალი და თოახისკენ გადადგეს ნაბიჯი, სადაც მომწვანო, მქრქალი შუქი კიაფობდა, თითქოს წყალქვეშა მღვიმეშიო.

— პოლკოვნიკო ფრილიე! — არაგინ გამოპასუხებია.

— პოლკოვნიკს ცუდად ესმის, — წაიფურჩულა ჩარლიმ — ასე მითხრა, პირდაპირ შემოდი და ხმაშაღლა და მიძახეო. პოლკოვნიკო

არც ახლა გამოსმაურებია ჩარლის ვინმე ერთი ის იყო, რომ საიდანღაც ზევიდან ტრიანტრიალით ცვიოდა მტვერბოდა და სრახსულ კიბეზე ეფერებოდა, მერე იმ... „წყალქვეშა“ მღვიმეთახიდან მსუბუქი შრიალი მოისმა.

ბიჭებმა ფრთხილად გაიარეს წინკარი და თოახში შეიხედეს — იქ მოხუცისა და სავარძლის მეტი ვერაგინ და ვერაფერი დაინახეს. ისინი რაცაღიტი ჰგავდნენ ერთმანეთს — ორივე ისეთი ხმელ-ხმელი და გაძვალტყავებულნი იყო, იფიქრებდი, ყველა სახსარი და შესახსრება უჩანო, სულ ადვილად დაინახავ, სად კუნთები და მყესები აქეთ

— ეტყობა, ქალაქი უამრავი მანქანაა, — თქვა დუგლასმა და წინ გაიჭრა. — მისტერ აუფმანს ბედნიერების მანქანა აქვს, მის ფერნსა და მის რობერტას — მწვანე მანქანა. შენ კირას ამბობ, რა მანქანა მქვესო?

— დროის მანქანა, — ამოიქლოშინა ჩარლი ვუდმენმა და დუგლასს გაუსწრო. — მართლა, მართლა პატიოსან სიტყვას გაძღვეო.

— და მაგ შენი მანქანით წარსულშიც შეიძლება მოგზაურობა და მომავალშიც? — ჰკითხა ჯონ ჰაფმა და სულ ადვილად გაუსწრო ორივეს.

— მხოლოდ წარსულში, ყველაფრის ერთბაშად გაკეთება არ შეიძლება. გაჩერდით, მოვედით.

ჩარლი ვუდმენი შედგა. დუგლასი ძველი სახლის თვალიერებას შეუდგა.

— აქ ხომ პოლკოვნიკი ფრილიე ცხოვრობს! — აბა, აქ რა მანქანა უნდა იყოს... ჯერ ერთი ფრილიე არც გამოგონებელია და არც არავინ, გარდა ამისა, მას რომ რომე გამოეგონებინა, მეტადრე დროის მანქანა, დიდი ხანია გვეცოდინებოდა.

ჩარლიმ და ჯონმა ფეხვარეული აიარეს პარშალის საფეხურები. დუგლასმა აგდებით ჩაიფრუტუნა და თავი გადაქანია, მაგრამ ფეხი არ მოუსვცია.

— არ გინდა და ნუ გინდა, ნუ წამოხვალ, რადგან ასეთი ჯიუტი ვირი ხარ, — უთხრა ჩარლიმ. — მართალია, პოლკოვნიკ ფრილიეს მართლა არ გამოუგონია დროის მანქანა, მაგრამ იგი მიცხად და ყოველთვის აქ არის, მასთან. ჩვენ უბრალოდ სულელები ვართ, ადრე რომ ვერ შევიწმინთ ასეთი მანქანა. აბა, კარგად იყავი, დუგლას სპოდინგ, დარჩი აქ და იყავი, მით უარესი შენთვის.

ჩარლიმ ხელკავი გამოსდო ჯონს, თითქოს ვინმე ქალბატონს მიაცილებსო, ვერანდის ბადგედაკრული კარი შეაღო და შევიდა. კარი არ გაჯახუნებულა. დუგლასმა ხელი შეაგება მას და უხმოდ გაჰყვა მეგობრებს.

— მიმაგრებული და სად თვალები და მოძრაობა სახსრები, გარდა ამისა, თოახში ფიქრის იატაკი, შიშველი კედლები, ჭერი და ძალზე ბევრი სიჩუმე იყო.

— ნაღდი მკვდარნივინა არის, ბიჭო! — წაიფურჩულა დუგლასმა.

— არაფერიც, უბრალოდ იგნოვს, ახლა სადა წავიდე სამოგზაუროდო, — ხმადაბლა და ძალზე ამყავდ თქვა ჩარლიმ — პოლკოვნიკო!

ოთახში მყოფი ორი საგნიდან ერთერთი შეინძრა — პოლკოვნიკიც სწორედ ის იყო; მან თვალები აახმახმა, მოსულეს დააქცერდა — გაიღიმა და უკბილო პირი გამოაჩინა.

— ჩარლი! — პოლკოვნიკო, ეს დუგლასი და ჯონი არიან, უნდათ...

— მოხარული ვარ, ბიჭებო. დახსენი, დახსენი.

ბიჭები უხერხულად დასდნენ იატაკზე.

— კი მაგრამ... სად არის... — დაიწყო დუგლასმა — ჩარლიმ გვერდში იდაყვი გაჰკრა.

— რაო, რა თქვი? — ჩაკეითხა პოლკოვნიკი.

— დუგლასს იმის თქმა უნდოდა, რა აზრი ექნებო, თუ ჩვენ თვითონ ვილაპარაკებთო? — ჩარლიმ დუგლასს თვალი ჩაუკრა, მერე პოლკოვნიკს გაულღიმა. — ჩვენ სულ არაფერი გვაქვს სათქმელი, პოლკოვნიკო. უმჯობესია თქვენ გვიამბოთ რამე.

— მიფრთხილდი, ჩარლი. ხომ იცი, ჩვენ, მოხუცები, ოღონდ კი გვალაპარაკონ და... ერთხელ თხოვნაც კი ვკარა, ჩავერთებოთ და ძველი ჟანგმოდებული ლიფტივით ავეჭრიანდებო.

— ჩინ ლინ-სუ, — თითქოს სასხვათაშორისოდ ჩაილაპარაკა ჩარლიმ.

— რაო? — ჩაკეითხა პოლკოვნიკი.

— ბოსტონი, — უკარნახა ჩარლიმ. — ცხრაას ათი წელი.

— ბოსტონი, — ცხრაას ათი... — პოლკოვნიკი მოიღუშა. — დაიბ, რა თქმა უნდა, ჩინ ლინ-სუ!

— დაიბ, სერ, პოლკოვნიკი

კო ფრლიო.

— დამაცათ, გავიხსნო...

— მოხუცი აულულელდა, ბიჭები ვერაფერს არჩევდნენ, მისი ხმა თითქოს სადღაც შორს, მშვიდი ტბისკენ მიეშურებოდა... — დამაცათ, გავიხსნო... ბიჭები ელოდნენ. პოლკოვნიკმა ამოიხარა, როდნავ კიდევ დაახანა და...

— ათი წლის პირველი ოქტომბერი, წყნარი, გრძელი შემოდგომის საღამო, ვარიეტეს თეატრი ბოსტონში... დიას, ნამდვილად ასე იყო. ქვეყნის ხალხია და ყველა ელოდება. ორკესტრი, საყვირები, ფარდა! ჩინ ლინ-სუ, დიადი ადამიანადღვი ჯადოქარი და გრძნული აი, ის სცენაზეა. მე კი პირველ რიგში ვივიარ, შუაში. ის გააჰყვიროს: „ფოკუსი ტყვიით! ვის უნდა სცადოს?“ ჩემი მეზობელი დგება და სცენისკენ მიდის. „გასინჯეთ თოფი, — ეუბნება ჩინ ლინ-სუ — ახლა კი ტყვიას ნიშანი დაადეთ. აი, ასე, ახლა დატენეთ თოფი ამ ტყვიით და პირდაპირ სახეში მესროლეთ, მე სცენის მეორე ბოლოში ვიდეგები და ტყვიას კბილებით დავიჭერ!“

პოლკოვნიკმა ფრლიემ სული მოითქვა და იყურა. გაოცებული და მოჯადოებული დღუგლასი თვალს არ აცილებდა მას. ჯონ შავი და ჩარლი გაოცნებულები იყვნენ. მოხუცი ისევ ალაპარაკდა, უძრავად იჯდა, თითქოს ქვის იყო, მარტო ტუჩები უმოძრავებდა.

— „მოემზადეთ, დაუმიზნეთ, პლი!“ — იძახის ჩინ ლინ-სუ, თოფმა იჭება. ჩინ ლინ-სუმ შეჰყვირა, შეტორტმანდა და დაეცა. სახე და სისხლიანიებული აქვს. ხმაური, ჩოჩქოლი, ყვირილი, ჯოჯოხეთი, ყველა ფეხზე წამოვარდა. თოფს რაღაც ჭირს. ვიღაც იძახის: „მკვდარიო“. მართლაც, მართლაც მკვდარია. საშინელებაა, საშინელება... არანდროს დამავინწყება... სახე ალისფერი ნიღბივითა აქვს, ფარდა სწრაფად ეშვება, მანდილოსნები ტირიან... ცხრაას ათი წელი... ბოსტონი... ვარიეტეს თეატრი... საბრძლო... საბრძლო...

პოლკოვნიკო ფრლიეი ნელ-

ნელა ახელს თვალებს.

— ღმერთო ჩემო, პოლკოვნიკო, — ამბობს ჩარლი. — მართლა მაგარიას ახლა კი პოუნი ბილის ამბავი მოგვასმენინეთ, რა? — პოუნი ბილის? — მაშინ თქვენ ჯერ ისევ პრერიებში იყავით, დიდი ხნის წინათ, რვაას სამოცდათხუთმეტში...

— პოუნი ბილი... — პოლკოვნიკი ფათოროთ მიიკვლევდა გზას უკუნეთში. — ათას რვაას სამოცდათხუთმეტი წელი... დიას, მე და პოუნი ბილი ბორცვზე ვიცდით, შუაგულ პრერიაში „ჩუუ, — მუხუნება პოუნი ბილი. — ყურბი მიუგდეს! პრერია უზარბაზნო სცენასავითაა, ყველაფერი მზადაა, ჭებაქუხილის ატეხვის დროა. ქუსს. ჯერ ყრუად კიდევ ერთხელ დაიქუსა. ამჯერად უფრო ახლოს, უფრო ხმაშაღლა. პრერიისკენ, სადამდეც თვალი მისწვდება, შავი ელვის ისრებით დღეებითლი ავი ტყვიისფერი ღრუბელი მოინეგს. — დაბნედა-დაბნედა მოცურავს, სიგანეშიც ორომდედაათი მილი იქნება, სიგრძემიც, სიმაღლით ერთი მილი იქნება, მიწიდან სულ რაღაც დღეშითაა და შორებული. მე კი ბორცვზე ვდგავარ და გავიძახი: „ღმერთო, შემიწალებე!“ დედამინა ფრთხილდებს, თითქოს გადარეული გული იყოს, ბიჭებო, შიშით შეჰყრობილი გული. მე ვერხვის ფოთოლივით ვთრთი და ვცახცახებ. დედამინა კანკალებს. მეხი გრუხუნებს, ქუსს. ო, როგორ ქუსდა, როგორ გრუხუნებდა, ეს ღრუბელი კი სულ მოინეგდა და ბოლოს მთელ ქვეყნას გადაეფარა. „ისინი არიან!“ — ყვირის პოუნი ბილი.

ის ღრუბელი ღრუბელი კი არა, ქვიშა იყო! არა ორთქლი, არა წვიმა, არამედ ქვიშა, შიშით პრერიიდან წამოხვეტილი ქვიშა უწმინდე-სად დაფულ ფქვილს მგავდა, ყვავილის მტვერს, და მუხზე ბზინავდა. იმიტომ რომ ახლა მხეც გამოჩნდა ცაზე. მე ისევ ვყვირი... რატომ? რატომ ისე და იმიტომ, რომ ერთბაშად თითქოს ამ მტვერს ჯოჯოხეთის ცეცხლი ეძგერათ, თითქოს ფარდა გადას-

წიესო, — და მაშინ მე ისინი დავინახე, გვეცივებით, საუკუთარი თვალით დავინახე, უძველეს პრერიათა დიადი/საბიყო — ბიზონები და კამეჩები! პოლკოვნიკი დადუმდა; ხლოო როცა სიჩუმე აუტანელი გახდა, განაგრძო:

— თავები გოლიანი ზანგის მუშტებივით შქონდათ, სხეულები — ორთქლმავლებივით. გგონებოდათ დასაქუთში ოცი, ორმოცდაათი, ორასი ათასი ზარბაზანი და აქუხეს, ჭურჭრებს გზა აებნათ და ახლა აქეთ მოჰქირდა, გზადაგზა კი ნაპერკლებს აბნევნო, თვალები ანთებულნი ნავეერცლებივით აქეთ, მოჰქირან და სადაც არის, სიცარიელეში დაინთქმებიან...

მტვერიც ცაას სწვდებოდა, ვუყურებ და ვხედავ: ფაფრენი აშლიათ, მიჰქირან კუზბანი ზურგები, ნამდვილი ზღვაა, შავი ბანჯგვლიანი ტალღები მოღელავს და ადიჩაღის... „ესროლე! — მიყვირის პოუნი ბილი. — ესროლე!“ მე კი ვდგავარ და ვფიქრობ: მე ხომ ახლა ღვთის სასჯელივითა ვარ... და ვუყურებ, როგორ მოედინება გადარეული ნიაღვრად მძვინვარე ძალა, თითქოს ღვთის მზისით შუღამე შემოიჭრა, თითქოს უსასრულო შავი ელვარე, მწუხარე და დაუბრუნებელი სამგლოვიარო პროცესია მოედინებაო, მერედა განა შეიძლება სამგლოვიარო პროცესიას ესროლო, რას იტყვიო, ბიჭებო?... შეიძლება? იმ საათში მე ერთადერთი რამ მინდოდა — ისევ ავარდნილიყო ქვისის ბული და თვალთაგან მიმფარვოდა, ბედის ეს შავი, მრისხანე სილუეტები, აღარ მეყურებინაროგორ ესთეპებოდნენ ერთმანეთს ამორტეგებულნი. და თქვენ წარმოიდგინეთ, ბიჭებო, მტვერიც კვლავ ავარდა

რემი ბრილბერი
დროის
მანძილზე

დროის განაგებება

და დამალა მილიონი ჩლიქი, მთელი ეს გრუსუნნი, ქუხილი, ქარიშხალი და გრიგალი, რომ გამოიწვია. პოუნი ბილმა ერთი კი შეიკურთხა და ღონივრად გამკრა მხარის მაგრამ მე მიხაროდა, რომ ერთი მისხალი ტყვიაც კი არ დავეშინე ამ ღრუბელს, იმ ძალას, მასში რომ იმალებოდა. სულ ასე ვიდგებოდი და თვალს არ მოვატყობდი და ვუყურებდი, თუ როგორ მიედინებოდა ჩემს თვალწინ უზარმაზარ ბორბლებზე, ბიზონების მიერ ატეხილი ქარიშხლის საფარქვეშ თავად დრო და როგორ მიქანებოდა მათთან ერთად როგორ ინთქმებოდა მარადიულობაში.

ერთი... სამი... ექვსი საათი გავიდა, სანამ ქარიშხალი შორიზონტს გადაივიდა და ნაკვეთივითა ადამიანებისგან, რომლებიც ჩემსაკენ კუთილები როდი იყვნენ. პოუნი ბილი სადავაც გაქრა, მე მარტო დავიჩინე, სულ დავეყრუვდი და თითქოს, გავქვაფიდი. მერე წავედი, ასი მილი ვიარე სამხრეთისაკენ უახლოეს პატარა ქალაქამდე. მივდიოდი და ადამიანთა ხმები არ მესმოდა, და ძალიანვე მიხაროდა, რომ არ მესმოდა. მინდოდა, რომ ყურებში ისევ მესმოდა. მე ახლაც მესმის ის ხმა, განსაკუთრებით ზაფხულობით, აი ასეთ დღეებში, ახლა რომ არის, როდესაც წვიმა კვლად არის აღმართული ტბაზე... საშინელი გრუსუნნი, სხვას რომ არაფერსა ჰგავს... ნეტავ, ერთხელ თქვენც გაბაგონათ...

ოთხის ნახევარწყვიდად ში პოლკოვნიკ ფარდლის ცხვირს სინათლე გასდიოდა, როგორც სიფრიფანა ფაიფურის ჭიქას, რომელზეც ძალზე ბავი და ოდნავ თბილი ფორთოხლის ჩაი ჩაუსხამთ.

— დადინა? — იკითხა ბოლოს დუგლასმა.
— არა, — უპასუხა ჩარლიმ — უბრალოდ ბატარეებს მუხტავს ხელახლა. ისმოდან პოლკოვნიკის ხშირი სუნთქვა, თითქოს დიდხანს ურბენია და სული ვერ მოუთქვამსო. მერე თვალი გაახილა.

— დაიხ, სერ? — შეაგება აღფრთოვანებულმა ჩარლიმ.

— გამარჯობა, ჩარლი — და პოლკოვნიკმა გაოცებული სახით გაუღიმა დანარლიმ.



ჩენ ბიჭებს.

— ეს დუგლასია, ეს კი ჯონი, — უთხრა ჩარლიმ.

— მოხარული ვარ თქვენი გაცნობისა, — ბიჭებო ბიჭები მიესალმნენ პოლკოვნიკს.

— კი მაგრამ ის სადღა... — ისევ ნაშოიწყო დუგლასმა.

— ო, რა რეგენი ხარ! — ჩარლიმ გვერდში უთავაზა დუგლასს, მერე პოლკოვნიკს მიუბრუნდა — სერ, თქვენ ამბობდით, რომ... — რაო, მე ვამბობდი რამეს? — ჩაილულულა მოხუცმა.

— ჩრდილოეთისა და სამხრეთის ომზე თუ ახსოვს რამე, — დაბალი ხმით უკარნახა ჯონ ჰაქმა.

— მახსოვს თუ არა სამოქალაქო ომი? — აფორიაქდა პოლკოვნიკი — მახსოვს რომელია! — ხმა აუთროლოდა, და ისევ მიილუთა თვალები — ყველაფერი მახსოვს, ყველაფერი, ოღონდ... მაინც ვის მხარეზე ვიბრძოდი?

— რა ფერის მუნდირი გექ-

ვათ? — ჰკითხა ჩარლიმ.
— ფერები მერევა, — ჩაილაპარაკა პოლკოვნიკმა. იყრებოდა მკრთალდებდა. ჩემ გვერდით ჯარისკაცებს ვხედავ, მაგრამ ვარც ჩანია, ვცუღარ ვიხსენებ, რანაირი ჯარაჯები აცვიათ, ან თავზე როგორი ქუდეები სურათი — ნაცრისფერი თუ ლურჯი. მე ილინოისის შტატში დავიბადე, ვირჯინიაში ვსწავლობდი, ცოლი ნიუ-იორკში შევირთე, სახლი ტენესიში ავიშენე, ახლა კი, სიცოცხლის მინურულს, მადლოდა ღმერთს, ისევ აქა ვარ, გრინ-თაუნში. ახლა გესმით, რატომ ამერია ფერები?

— ის ხომ მაინც გახსოვთ, მთების რომელ მხარეს იბრძოდით? — ჩარლი ძალზე ხმადაბლა ლაპარაკობდა.

— მზე თქვენგან ხელმარჯვენა ამოდიდა თუ ხელმარცხნივ? კანადისკენ მიიწევდით თუ მექსიკისკენ?

— ზოგჯერ მზე თითქოს ჩემი ჯანსაღი, მარჯვენა ხელის მხრიდან ამოდიოდა, ზოგჯერ კი მარცხენა მხარეს უკან და ჩვენ ხან იქით მივდიოდით, ხან აქეთ. მას შემდეგ სამოცდაათი წელი მაინც გამოსხდა. რა გასაკვირია, რომ ამ ხნის განმავლობაში დამვიწყებოდა, რომელი მხრიდან ამოდიოდა მზე.

— რომელიმე გამარჯვებები თუ გახსოვთ? რომელიმე ბრძოლა ხომ მაინც გაქვთ მოგებული?

— არა, არ მახსენდება, — მოხუცი პოლკოვნიკის ხმა თითქოს სადავაც შორიდან მოისმის — არავინ არას — დროს არაფერს არ იგებს. ომში საერთოდ არ იგებენ, ჩარლი. ყველა მხოლოდ ავება, და ვინც უკანასკნელი წააგებს, ზავსაც ის ითხოვს. მე მხოლოდ მარცხები მახსენდება, მარცხები და სიმწარე, კარგი კი მხოლოდ ის იყო, რომ ყველაფერი დამთავრდა. შეიძლება ითქვას, რომ ეს გამარჯვება იყო, და ზარბაზნები აქ არაფერ შუაშია. თუმცა თქვენ ალბათ ასეთი გამარჯვების ამბავი არ გაინტერესებდათ, არა? — ანტიტიმში, — თქვენ ჯონ ჰოვმა. — ანტიტიმის შესახებ ჰკითხე.

— მე ნამყოფი ვარ იქ.
ბიჭებს თვალები გაუბრწყინდათ.

— ბულ რანი, ბულ რანის შესახებ ჰკითხე...

— მე ნამყოფი ვარ იქ — ძალიან ხმადაბლა თქვა პოლკოვნიკმა.

— შაილოზე რაღას იტყობდი?

— მე მთელი ჩემი სიცოცხლე ვისწინებ მას და საკუთარ თავს ვეუბნები, რა სირცხვილი და თავის მოჭრაა, რომ ასეთი ლამაზი სახელწოდება მხოლოდ ძველ საბრძოლო ქრონიკებს თუ შემორჩა.

— ესე იგი, შაილოს შესახებ. სამტური, ფორტ სამტურის ამბავი?

— იქ მე დენტის ვეაშლის პირველი ბოლქვები მინახავს, — ოცნებაში წავიდა პოლკოვნიკი — ბევრი რამ მისწავნებდა, ძალზე ბერეო... სამღერებიც მახსოვს: „პოტომაკაზე სინყნარე, ჯარისკაცებს მშვიდად სძინავთ; მათი კარვები შემოდგომის მთავარი შუქზე ბზინავენ...“ გაგრძელებაც მახსოვს: „პოტომაკაზე სინყნარე, მხოლოდ ტალღა შრილღებს; მოკლული გუშაგები აღარ გაიღვიძებენ...“

ხოლო როცა მათ კაპიტულაცია გამოაცხადეს, მისტერ ლინკოლნი თეთრი სახლის აივანზე გამოვიდა და ორკუბიტის სთხოვა დაეკრა „სადარაჯოზე იდევით...“

მე რეკ ვიერთ მა ბისტონელმა ლედიმ ღამით შეთხზა სიმღერა, რომელიც ათას წელს იცოცხლებს:

„ჩვენი თავლნათლივ დავიანხეთ — უფალი ჩვენი ზეციდან ჩამოდის; იგი ფეხვეშქელავს ვაზს, რომელზეც მორისხანების მტყუნები მნიფს...“

ღამ-ღამობით მე თვითონაც არ ვიცი, რატომ ტურებს ვამორბავებ და ჩემთვის ვმღერო „დიდება თქვენდა, დიდება, დიქსის მეომარნი! იდექით მშობლიური ნაპირების სადარაჯოზე...“

და „როცა ჩვენი გმორები გამარჯვებულნი დაბრუნდებიან, მათ დაფნის გვირგვინებით შეამკობენ, მათ მუხსარე ოვაციებით შეხვდებიან...“

რამდენი სიმღერა გაისმოდა ორივე მხარე მღეროდა, ქარს ხან სამხრეთისკენ მიჰქონდა ისინი, ხან ჩრდი-

ლოეთისკენ“ „მოვდივართ, მამაო ჩვენი აბრამ, მოდის სამასათასიანი ლაშქარი“, „ბანაკი დავცეთ, ბიჭებო, კარვები გავშალეთ...“ ბებერი მეომრის სხმა თანდათან ჩაჩუმდა.

ბიჭები დიდხანს არ ტანჯებულან. მერე ჩარლი გაძლასს მიუბრუნდა და ჰკითხა:

— აბა, ახლა რას იტყვი, პო თუ არა?

დუგლასმა ორჯერ ხმამაღლა ამოიხრბა და უპასუხა:

— რა თქმა უნდა, პო.

პოლკოვნიკმა თვალები გაახილა.

— რაო, რაო? რაზე ამბობთ „პოს“?

— რა თქმა უნდა, თქვენ დროის მანქანა ხართ, — ჩაილუღლულა დუგლასმა.

პოლკოვნიკი დიდხანს უყურებდა ბიჭებს. მერე თითქ-



მის შიშით ჰკითხა:

— მაშ თქვენ ასე მეძახით?

— დიახ, სერ, ასე.

— დიახ, სერ.

პოლკოვნიკი ნელა გადამწვა სავარძლის საზურგეზე, ბიჭებს მაიჩრდა, მერე ხელებზე დაიხიდა, მერე შიშველ კედლებზე გადაიტანა მზერა. ჩარლი ადგა.

— ჩვენი წასვლის დროა. კარგად ბრძანდებოდეთ, პოლკოვნიკო, მადლობთ.

— რაო? აა, დიახ, კარგად იყავით, ბიჭებო, კარგად.

დუგლასი, ჯონი და ჩარლი ფეხაკრეფით გაემართნენ კარისკენ. წინ ჩაუვინო პოლკოვნიკს, მაგრამ მან თითქოს ეურც კი შეამჩნია ისინი. ქუჩაში რომ გავიდნენ, მეორე სართულის ფანჯრიდან პოლკოვნიკის ხმა მოეს-

მათ: — ეპეი! სამივე შეკრთა. ზეითი იწხედეს.

— ბატონო, სერ, პოლკოვნიკი გადმოიყვია და ხელი დაუქნია ამ ბიჭებს.

— მე ვიფიქრე თქვენს ნათქვამზე, ბიჭებო.

— დიახ, სერ?

— თქვენ სასველით მართალი ხართ მიკერის, თერთონ როგორ ვერ მივხვდი? დროის მანქანა, რაღა თქმა უნდა, დროის მანქანა!

— დიახ, სერ.

— კარგად იყავით, ბიჭებო, როცა მოგინდეთ, შემომიარეთ, ნებისმიერ დროს მოდით.

ქურჩის ბოლოს რომ მიადნის, ბიჭებმა უკან მიიხედეს — პოლკოვნიკი ისევ ხელს უქნევდა. მათაც დაუქნის უპასუხად ხელი, სამივემ რაღაც სიტობი იგრწონ, ესამოვნათ. მერე გზა განაგრძეს.

— უფ, ფფფ — ათუხთუხდა ჯონი. — ახლა ავდგები და წარსულში გავემზავერები, თორმეტი წლით უკან.

— მართალი ხარ, — ჩაილაპარა ჩარლიმ და პოლკოვნიკის სახლს მიხედა, სადაც სიჩუმეს დავეანებინა.

— ასი წლით უკან კი ვერ ნახავდი.

— პო, არა, ასით ვერა, — დაეთანხმა ჯონი. — არადა, რა მოგზაურობა იქნებოდა! მანქანა თუ გინდა, ეს არის!

მცირე ხანს უჩუმრად მიბიჯებდნენ, თაჩრალულულები. მერე ლობეს მიადგნენ.

— ვინც ბოლო გადაახტება, გოგაო, — შესძახა დუგლასმა. მთელი დარჩენილი გზა ჯონი და ჩარლი დუგლასს დორას ეხადგნენ.

თარგმანი
ნელი კალანდამი

რევი ბრეპერი
დროის
მანქანა

ქვეყნად იმდენი გუზაუმი

მრისხანე ექსპონატები

ავსტრალიის ჩრდილო-აღმოსავლეთის ერთ-ერთ პატარა ქალაქში არსებობს მუზეუმი, რომლის მნახველებსაც შეუძლიათ იხილონ სიცოცხლისთვის საშიში ზღვის ცხოველები და მცენარეები. მუზეუმის ყველაზე მრისხანე ექსპონატია მედუზა კობრა, რომელსაც ზღვის კრაზანასაც ეძახიან. მედუზას 12 მეტრის სიგრძის საცეცის მცირე შესებაც კი ჯერ სპაზმებს იწვევს, მერ კი გულის გაჩერებას. არანაკლებ საშიშია ზღვის ვევილიც, რომლის შხამიც 10-40 წამში კლავს გაუფრთხილებელ მოცურავეებს.

დუქანი, სადაც ვერ ისადილებ

უნგრეთის დედაქალაქის გარეუბანში არსებობს დუქანი-მუზეუმი „ფორტუნა“, სადაც თავმოყრილია უნგრული და ევროპული კულინარიის 300 წლოვანი განვითარების ამსახველი საგნები-ჭურჭელი, ძველთურთ ავეჯი, მენიუები, კერძების რეცეპტები, სახელგანთქმული კულინარების დიპლომები. ისე რომ „ფორტუნაში“ საქმელად

კი არ დადიან, არამედ დასათვალიერებლად.

ყველაზე მხიარული გუზაუმი

სან-ფრანცისკოს უნივერსიტეტთან არსებული მუზეუმი ყველაზე მხიარულია მსოფლიოში. აქ თავმოყრილია ყველაფერი, რაც ადამიანს აცინებს: ანეკდოტები, კარიკატურები, სათამაშოები, სახალისო სიმღერები, თავშესაქცევი ლექსები. გარდა იმისა, რომ მუზეუმი მნახველებს ამხიარულებს და ახალისებს, იგი ეხმარება ექიმებს დაადგინონ, თუ როგორ ზემოქმედებს სიცილი ადამიანის ორგანიზმზე.

ნათურები 45 ქვეყნიდან

გერმანიის ქალაქ კიოლნში არსებობს ინჟინერ ჰერბერტ ვოლმანის მიერ დაარსებული ელექტრონათურების მუზეუმი. ვოლმანის მიერ 45 ქვეყანაში შეგროვილ ექსპონატებს შორის ყველაზე პირველი ნათურებიც არის და ყველაზე თანამედროვეც- ყველაზე პატარა მათ შორის ასანთის ღერის თავისხელაა, იგი ელექტროხელსაწყოებისთვის არის განკუთვ-

ნილი. ყველაზე დიდი, 50 სმ. დიამეტრის ნათურა კი დიდ კინოსტუდიებს ანათებს.

ვინ რას აბროვებს?

პარიზის დეკორატიული სელონების მუზეუმში მოწყობილ გამოფენაზე ექსპონირებული იყო კერძო კოლექციები, რომლებშიც ათასნაირი რამ იყო წარმოდგენილი: რესტორნის მენიუები, ლილეები, მეტროს ბილეთები, შაქრის ტარა, თუთიყუშების ფიტულები, ქოქოსის ქვისები, აირწინალები...

გუზაუმი საკუთარ სახლში

იუკოსლავიის ერთ-ერთი სოფლის მკვიდრმა ლ. სორვაკმა თავისი სახლის მოზრდილი ოთახი დაუთმო მუზეუმს, სადაც მის მიერ საკუთარი მიწის ნაკვეთის დამუშავების დროს ნაპოვნი ნივთები გამოფინა. ოცი წლის მანძილზე გლეხის გუთანს ანტიკური მონეტების მთელი კოლექციაც ამოყვა, ძველ რომაელთა, სარმატთა და კელტთა თიხის ჭურჭელიც, ნეოლითის ხანის ქვის ნაჯახებიც და ოთხიათასი წლის ბრინჯაოს ნაკეთობებიც.





ვის რა ეცვა ვინაზე?

ნახევარი საუკუნის წინ ჩეხეთის პატარა ქალაქ ზლინში ძმებმა ტომაშ და ანტონ ბატიებმა ფესხადმლის წარმოებას ჩაუყარეს საფუძველი. დროთა განმავლობაში კონცერნი იმდენად გაძლიერდა და გაიზარდა, რომ მსოფლიოს მრავალი ქვეყნიდან ლებულობდა შეკვეთებს. ფესხადმლის ფაბრიკაში საკუთარი მუზეუმიც აქვთ, სადაც გამოფენილია ყველაფერი, რაც კი ადამიანს ოდესმე ფეხზე სცმია: ინდიელთა მოკასინები და თურქული ქოშები, ქალამნები და ქალის წვრილქუსლიანი ფესხადმელი, იპონელების, არაბების, ზანგების ფესხადმელი, საშინაო ფაჩუჩები, ფოსტლები, ჩექმები... მუზეუმის დამთვალიერებლები ფესხადმლის წარმოების ტექნოლოგიის განვითარების ისტორიასაც ეცნობიან. აქ წარმოდგენილია ხარაზის დაზვაც, მისი სამუშაო ხელსაწყოებიც, ხის კალპოტებიც.

ამ

კარტოფილისადმი მიძვნილ მუსიკას უსმენენ

ბრიუსელში არსებობს კარტოფილის მუზეუმი. მის მნახველებს შეუძლიათ გაეცნონ ამ ძვირფასი კულტურის ისტორიას, მოყვანასა და სელექციას, მოისმინონ იოჰანსებასტიან ბახის მუსიკალური პიესა, რომელიც დიდმა კომპოზიტორმა კარტოფილს მიუძღვნა.



სიფყვის კანა

ბელღარი: — ღარის ხიდი. ხეზე, ხრამზე გადებული ღარი, რომელშიც წყალი (რუ, არხი) მიედინება.



ოდოქდერი: — თავთავდასხმული მწვანე ყანა (პურის, ქერის, ფეტვის). ეს სიტყვა შექმნილია ორი სიტყვის (ოდოქი და დერი) შეერთებით. ოდოქი, საბას განმარტებით, ნიშნავს დაუმწიფებელ, სიმაგრე ნაკლებ მარცვლულსა და ხილულს, დერი — ბალახეულის ტანს. ოდოქდერის დაედაპირველი სახე იყო ოდომდერი, შემდეგ დსგავლენით შეიქცა ელ, და მივიღეთ ოდოქდერი.



ეინელილი: სანათი, იგივე კვარი — უმთავრესად ფიქვებსა, ვინაიდან ყველა ხეზე უფრო კარგად ცეცხლი ფიქვს ეკიდება. კაცი რომ წითურია, იტყვიან — ეინელილი ივითაო.



"Levis", "Wrangler", "Lee" და სხვები



როგორი მოკრძალებულად უნდა იყოს დღეს თქვენი ოჯახის ბიუჯეტი, მშობლები მაინც ახერხებენ თი-

თო ხელი ჯინსი გიყიდონ. ყოველდღიურად სახმარად, სკოლაში, სახლში, ეზოში, მოგზაურობაში, შრომაში


მას სომ შარვალი ვერ შეედრება. მე თქვენ გეტყვით და უთოთი გატყვივინება, ზედ გადაყოლა და ხაზების გამოყვანა სჭირდება თუ საკიდარზე ან სკამის ზურგზე ტოტი ტოტზე მიდებით გადაკიდება?! გაირეცხება სარეცხ მანქანაში, ჩაიცვამ და გინდა ფეხბურთი ითამაშე, გინდა სკოლაში წადი, გინდა მთაბარი დაიარე — ყველგან ერთნაირად გამოგადგება და გასიამოვნებს, დაილოცოს მისი მომგონი!

მაინც ვინ უნდა ვლოცოთ, ვის უნდა უმაღლოდეს მთელი მსოფლიო ამ საოცრად პრაქტიკული სამოსის შექმნას?

პირველად ჯინსიანი მაშაკაცი 134 წლის წინათ გამოჩნდა. დღეს კი...

ვიღას არ აცვია დღეს ჯინსი? ყველაზე დიდი სახელმწიფოს პრეზიდენტი გნებავთ, კლასიკოსად მიჩნეული მწერალი, მსოფლიოში აღიარებული მეცნიერი, საყოველთაოდ ცნობილი კინოვარსკვლავი, მზით გარუჯული კოვბოი, მილიონერი ბიზნესმენი, რიგითი სახელმწიფო მოხელე, მაღალი მოდის მამათავრები და მიმდევრები, თუ მაღალმთიანი სოფლის მკვიდრი — ყველა სიამოვნებით იშრომებს ამ საოცრად პრაქტიკულ, მო-





ხერხებულ შარვალს, გარეცხვითაც რომ ადვილად ირეცხება, არც უთოობა სჭირდება და არც მაინც დაამინც დიდი გაფრთხილება, სიცხვეშიც რომ ვარგა და ზაფხულშიც რომ მშვენიერი სატარებელია.

თუმცა დღეს უმრავლესობა ჯინსს, ისევე როგორც ბევრ სხვა რამეს, ამერიკულ ნაწარმად მიიჩნევს და ოფიციალურადაც ეს ქვეყანა მის სამშობლოდ მიჩნეული, ამბობენ, რომ სულ პირველები ჯინსის შარვლით გუნული მებღვაურები დაიარებოდნენ, რომლებმაც ძალიან მალე შეაფასეს პატარა ფრანგულ ქალაქ ნიმში წარმოებული შარვლის (მაშინ მას „დე ნიმი“ ერქვა) ყველა სიკეთე. მოგვიანებით ამ ქსოვილის მწარმოებელი ფაბრიკანტები საეკლესიო ეზზეკუციონით შეშინებულნი ინგლისში გადაიხვეწნენ. როგორც ამბობენ, 1853 წლის 14 მარტს ბავარიელმა ემიგრანტმა ლევი შტრაუსმა ოქროს მაძიებელ, პრერიების მოყვარულ ამერიკელებს საკარვე ქსოვილისგან შეკერილი შარვლები

შესთავაზა, რომლებიც სწორედ რომ მისწრება აღმოჩნდა სავსე ცხოვრებას შეწვეული ბედისმაძიებელი გამოსაცემისთვის. ორი ათეული წლის შემდეგ „Levi's“-ის უკანა ჯიბებზე ამობრუნებული „M“-ის მსგავსი დალიანდაგებული ზოლები გაჩნდა, რომლებიც სიმბოლურად კალიფორნიის მთის არწივს გამოსახავდა. ფირმა მერეც ცდილობდა, რაღაცით მაინც ყოფილიყო ჯინსის სხვა მწარმოებლისგან გამოირჩეული. არწივს უკანა ჯიბებზე ჩაკერებული ტყავის ეტიკეტი დაემატა და „ლევის“ კიდევ კარგა ხნით ინარჩუნებდა ლიდერობას კონკურენტებს შორის. გასული საუკუნის დამლევსლა წამოენივნენ „Lee“ და „Wrangler“, მათ კი სხვა ფირმებიც ჩაუდგინენ



კვალში. დღეს ყველას თავისი მომხმარებელი ჰყავს. დიდი უმრავლესობა „რაიფლის“ „ლევისს“ ამჯობინებენ, კალვინ კლაინის ნაწარმი უფრო ყმანვილებისთვის, მოზარდებისთვის არის უპრიანი, „დი ზელი“ მაინცდამაინც ექსცენტრიკებს უყვართ. თავდაპირველი ლურჯი ფერის გარდა, მოგვიანებით სხვა ფერის — მწვანე, შავი, ყვავისფერი, იისფერი ჯინსების წარმოებაც დაიწყო, ლურჯი ჯინსი დღესაც კლასიკურად რჩება და იგი აშკარად დომინირებს. და მაინც ჯინსი Blue jeans — ად — უქმე დღის „ფორმად“ რჩება და მხოლოდ ელემენტალური ეტიკეტის უცოდინარი, ან ეპატაჟის მოყვარული ადამიანი თუ მისცემს თავს უფლებას ჯინსში ჩაცმული მივიდეს თეატრში, ოფიციალურ მიღებაზე ან საქმიან შეხვედრაზე.

ცხრა კლიტიკული

საქართველოს
საგარეო
საზღვაო
საზღვაო
საზღვაო

1. ბროლა, ხარისთვალა, რქაწითელი, კლარჯული, ძველ-შავეი, ოჯალეში, კრახუნა... შეავსეთ თქვენთვის ცნობილი ქართული ყურძენ-ვახის ჯიშების სია.

2. აზარფემა, კულა, ყარყარა, ხელადა, ჭინჭილა... — კიდევ რომელ საღვინე ჭურჭელს ხმარობდა ქართველი კაცი ოლითგანვე?

3. ყურძნის ფეხით დასაწურად განკუთვნილ მოწყობილობას კახეთში ნაი, ჭყვია, გურია-იმერეთში — საწნახელი, სამეგრელოში — რაქა-ლიჩხუში — ?

4. მტევნებიანად აჭრილ ვაზის ტოტს ჩხა ჰქვია, გრძლად ასხმულ ყურძნის მტევნებს — ჯაგანი, ვაზის მოკლედ აჭრილ წყვილმტევნიან რქას რალა ჰქვია?

5. მთელ საქართველოში მექვევრობა-მეჭურჭოებით განთქმულია სოფლები: კახეთში — ანავა, ვარდისუბანი, აყათო, ახალსოფელი; ქართლში — ცხავატი; გურიაში — აყეთი; სამეგრელოში — ნამიკოლაო; ლეჩხუში — საირამე; იმერეთში — ?

6. რომელი ტრადიციული ჭურჭლით გადაქაჩონდა ქართველებს ღვინო და ტბილი შორ მანძილზე?

7. რა ჰქვია ყურძნის ღვთაების პატივსაცემ რიტუალს, რომელსაც ახალწლის საღამოს ან მეორედ ღვინო ასრულებდნენ საქართველოში?

8. რა წარწერა — ლექსი უძლვობა ნიკოლოზ ბარათაშვილმა ცნობილ ნუმისმატიკოსს, პოეზიის მოყვარულს, დეკაბრისტ მ. პ. ბარათაშვილს (კნიაზ ბარათოვს) აზარფემის შესამკობად?

9. რა ერქვა ქართველ მეფეთა კარზე საღვინის უზენაეს გამგეს?

წინა „ცხრა კლიტიკული“ პასუხები

1. „დაპკარ“, „დაუხვიდ“ და „არ გაუშვა“ საქართველოს უძველესი ციხეების სახელებია. ირაკლი აბაშიძე გადატანითი მნიშვნელობით ხმარობს და მხატვრულ განსაზღვრებად იყენებს მათ ვითარცა საქართველოს, ქართველი ხალხის გამირობისა და შეუდრეკელობის სიმბოლოს. ჩვენი ხალხი მუდამ მზად იყო მომხვედური მტრის დასახვედრად („დაუხვიდ“) და მოსაგერიებლად, მუდამ მედგრად სცემდა („დაპკარ“) ყველას, ვისაც მისი დაპყრობა უნდა და ცოცხალს არავის არ გაუშვებდა („არ გაუშვა“).

2. მირიან ივერი ნიკოლოზ ბარათაშვილის ფსევდონიმია.

3. ხატოვანი გამოთქმა „რას მეთოთხმეტები“ იხმარება მაშინ, როცა გვინდა ვინმეს ვუთხრაო, რა უბრალო საქმეზე მედავებიო. ვახტანგ მეფის კანონთა კრებულის ძალით, ქალი მამის მეგვიდრეობის მეთოთხმეტედ ნაწილს ეღებოდა. დაქვრივებულ ქელსაც, თუ იგი გათხოვებას მოინდომებდა, გარდაცვლილი ქმრის ქონების მეთოთხმეტედი ერგებოდა, რაც სხვების ნილთან შედარებით მეტად მცირედად ითვლებოდა. ამ ნაწილზედაც დავა იმართებოდა ხოლმე. თუმცა ზოგჯერ ამ დავად სულაც არ ღირდა ეს მეთოთხმეტედი. სწორედ ეს დავად სარჩულად ამ ხატოვან გამოთქმას, რაც ნიშნავს დავის ატეხას იმდენად უბრალო საქმეზე,

რომ ხსენებადაც კი არ ღირს.

4. ავსტრალია პირველად პოლანდიელებმა აღმოაჩინეს და „ახალი პოლანდია“ დაარქვეს. „ავსტრალია“ (ლათ. „სამხრეთი“) ამ კონტინენტს ჯეიმს კუკის თანამგზავრებმა უწოდეს.

5. ეს სიტყვები ვიორჯი ლეონიდის მშვენიერი მოთხრობის „ჩორენის“ გამირს ჩორენს — ეკუთვნის.

6. „ანტარქტიკა“ ორი სიტყვისაგან შედგება: „ანტ“ ბერძნულად დათვის ნიშნავს (ძველად ბერძნები დიდი დათვის თანავარსკვლავედის მეშვეობით აგნებდნენ ჩრდილოეთს), აქედან დაუერქვა ჩრდილო-პოლარულ მხარეს — არქტიკა. „ანტი“ სანინაალმდეგოს ნიშნავს.

7. სიტყვა-სიტყვით „ანტარქტიკა“ ნიშნავს „არქტიკის სანინაალმდეგო მხარეს“.

8. „კალმასობის“ ავტორი იოანე ბაგრატიონია.

9. ორთაქალისა ახლანდელ სამახი არაგველებს ბაღს ერქვა. იგი მეფე ერეკლე II ბრძანებით გაშენდა. ეკუთვნოდა მეფე გიორგი XII. მისი გარდაცვალების შემდეგ ბაღები არქიეპისკოპოს დოსიფეოს ფიცხელაურის ხელში გადავიდა. მდებარეობდა თბილისის აღმოსავლეთით, საკუთრივ მტკვარსა და მისი ერთი მცირე ტოტით შექმნილ კუნძულზე, ხარფუსს, ნავთლუსსა და დირსიჭალას შორის, ჰქონდა წრისებრი ფორმა. იყო თბილისელთა დასახვედელი ადგილი ზაფხულობით.

კაცი, რომელმაც დედამიწა აწონა

გაიანობო აღამიანსუ, რომლის წყალობითაც შესაძლებელი გახდა დედამიწის წონის დადგენა; რომელმაც ორი საუკუნის წინათ იმდენად ზუსტი სასწორი დაამზადა, რომ რამდენი არ უპირტიტეს თანამედროვე მეცნიერებმა მისი შემუშავებით მიღებულ შედეგს, მასიც კერაფერი აღმოაჩინეს შეცდომამ ერთსაგეგარ პროცენტზე საკლები შეადგინა.

ეს აღამიანი ინგლისელი ქიმიკოსი და ფიზიკოსი პერი კეპლენი გახლავთ.

კეპლენიშო საკვარველო უკველესი დროიდან იყო ცნობილი ოხლესიშო. ამ გვარში მისიტრეზიცი ურიენი, ცნობილი ხარღლებიც და, თქვენ წარმოიდგინეთ, მკობრეც კი, შეცხიერი კი სერისრმდე არავის ეყოფა. პერი კეპლენიშო არცერთ მთავანს არ ჰგავდა არც თავისი მოსოლმხეველობით, არც ინტერესებითა და საქმიანობით. თუმცა იგი ღორღი და თავის ქაქუკანაში ეროურთი უმღარერესი აღამიანი იყო, გართობისთვის ვერ იცლიდა და საზოგადოებაშიც იშვიათად წნდებოდა. დროიც, სახსრებაც, მიუღო თავის ცოდნასაც და უხარშესამდელობებაც იგი მეცნიერებას, (იქნებ ახდომებდა. ნაფიქრებელი მოწყობილობისა თუ ხელსაწყოების შესაქმნელად საუკეთესო მასალებს იძებნა და საუკეთესო მექანიკოსებს იწვევდა. ხანამისოდ კი იგი ნამდვილად არ იშურებდა ფულს. სახსაროდ იმდენს რამ აღმოაჩინა, გამოთვალა, შექმნა და დააღიხა, რომ დაჯერება ჭირს.

გეოცენტრულობით, რომ წყალობით წყალობადსა და ეახგბადისგან შედგება, ის კი ალბათ ცოტა თქვენგანმა უწყის, რომ ეს ფაქტი 1784 წელს სწორედ პერი კეპლენიშო დაადგინა.

ცხადია, ისიც იცით, რომ პერი ეახგბადისა და ასოტის ნაერთია. ახლა კი ისიც დავისომეთ, რომ პირველად კეპლენიშო განსაზღვრა რამდენი ეახგბადი, და რამდენი ასოტია პერიში. ხოლო ეახგბადის წვის შედეგად წყლის ქიმიური შედგენილობაც მანვე დაადგინა, იგი გახლდათ პირველი ქიმიკოსი, რომელმაც ელექტრული ნაპერწკლის მეშვეობით მიიღო ასოტის ეახგბადები და მათი თვისებები გამოიკვლია. მანვე დაამუშავა აირთა შერეოვების გავმენდისა და შესწავლის მეთოდიცა, რომლის საშუალებითაც პირველმა შეძლო სუფთა წყალობადის და ნახშირორჟანგის მიღება, მათი სიმკვრივის და სხვა თვისებების დადგენა. ეს ქიმიანი, გახაოცარია, მაგრამ პერი კეპლენიშო ფიზიკაშიც უდიდესი აღმოჩენებით გააკეთა.

სერ ჟერემ წინასწარ განტვრიტა უფრანგი მეცნიერის კოლონის კანონი, პირველმა ჩამოაკალიბა თბოტეკადობის ცნება და სხვა. მეცნიერი ვერც იცლიდა თავისი კვლევებისა თუ ცდების შედეგების საჯაროდ გამოსაქვეყნებლად და არც საჯიროდ მიანინდა ამის გაკეთება. ამიტომაც მოხდა ისე, რომ მის მიერ გაცივლებით ადრე აღმოჩენილ კანონს ელექტრული მუხტებისა და მაგნიტური პოლუსების ურთიერთქმედების შესახებ, რომელიც კერძო მისიგან დასოკიდებლად შ. კერლონმა ჩამოაკალიბა, ამ უკახსანგლის სახელი ეწოდა.

ინგლისელი მეცნიერის ცდათა შორის ეროურთი ყველაზე საინტერესო დედამიწის აწონება. ჩვენს პლანეტის წონის დასადგენად კეპლენიშო აიღო მოვერცხლილი სპილენძის მტვრად წმინდა მკეთილი, ზედ მსუბუქი სასწორის მსრუელა ჩამოაკალიდა, რომელსაც ბოლოებზე 700 გრ. მახის ორი ერთნაირი ტყვის ბურთულა მი-

ამაგრა. უმცირეს ქრომლენსაც მსრუელი ტრიპლქვეტრამ და მკეთილს გრუნდა, ამიტომაც ვწოდა ამ ხელსაწყოს გრებითი სასწორი. ზუსტად გამოთვლილ მანძილზე მეცნიერმა ბურთულების გვერდით სხვა, უფრო მძიმე და მკარად დამაგრებელი ბურთულები მოათავსა. ამ გზით მას მათ შორის მიხიდულობის ძალა უნდა დაედაგინა. იმის მიღწევა, რომ ხელსაწყო არც პერიის მორატობას ემოქმედა, და არც ტემპერატურის შევყობას, ძალზე მკეთილი იყო, მაგრამ კეპლენიშმა ისიც შეძლო. თავისი სასწორი მას უფანჯრეობა ოთახში მოათავსა, რომლის კარიც არასდროს არ იღებოდა, მუდმივ ტემპერატურას კი უშეცდომად იცავდნენ. თავად ხელსაწყო მეცნიერმა კერძოტულ კარდაში ჩაქვეტა. ბურთულებზე დავერებება ნახვრეტებით ნადგმული სამზერი მიღებით, პატარა ტელესკოპით შეიძლებოდა. ამის შემდეგ დაუცხრომელმა მეცნიერმა მსუბუქი მსრუელის დონეზე მეთვრე მკარად დამაგრებული, დიდ ბურთულები (თითოეულის მასა თითქმის 150 კგ. იყო) მსრუელი ჩაქვეტა და მასშიდა დაინახა ტრეფსოკში მსრუელის მსუბუქი დედევა, რომელიც სხვა არაფრით აიხსნებოდა, თუ არა მსუბუქი ბურთულების მძიმე ბურთულების მიხიდულობით. თუმცა მიხიდულობის ძალა მერად მცირე იყო. მაგრამ ხელსაწყო იმდენად ზუსტი იყო, რომ ცდის მრავალჯგის განმეორების შედეგად პერი კეპლენიშმა მიხიდულობის ძალის საშუალო სიდიდე გამოიყვანა. ახლა მას იგი იმ ფორმულაში უნდა ჩაეხვა, რომელიც ბურთულის ურთიერთმიხიდულობის ძალას იმ სივითრების სიმკვრივითან აკავშირებდა, რომლისგანაც ჩვენს პლანეტა შედგება, ინგლისელმა მეცნიერმა დაადგინა, რომ ეს სიმკვრივე შეადგენს 5,45 გრამს კუბურ სანტიმეტრზე.

თანამედროვე მონაცემებით, დედამიწის სივითრების კუბური სანტიმეტრის საშუალოდ 5,518 გრამი, ანუ თითქმის იმდენივე მასა გააჩნია. ხოლო მიუღო პლანეტის მასა ტოლად 5976. 10²¹ კილოგრამისა: 5976 მეთუ კი ოკლატრონი სული. კეპლენიშმა თითქმის შეცდომილად განსაზღვრა ეს უხარმპარი სიდიდე, ისე რომ გამოდგას, რომ სწორედ მას აუწონია პირველს დედამიწა...

პითხვა — თქვენი

„სძინავთ თუ არა თვეებზე?“

„დღეს ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, რომ მოელს მსოფლიო ინგლისურად ლაპარაკობს. მართლა ინგლისურია ყველაზე გავრცელებული, თუ არსებობს სხვა მასზე უფრო გავრცელებული ენებიც?“

ნანა ბარამიძე,
მე-8 კლასი, ნოხატაურა

როგორც ცნობილია, ენები ენათა ოჯახების მიხედვით არის კლასი-

ფიცირებული. მსოფლიოში ყველაზე პოპულარული ინდოევროპული ოჯახი აღმოჩნდა, რომლის ენებზეც დაახლოებით 2 მილიარდი ადამიანი ლაპარაკობს. მეორე ადგილზეა ჩინურტიბეტური ოჯახი — 1,2 მილიარდი ადამიანი. გათვავზობთ ცხრილს, რომელშიც წარმოდგენილია ყველაზე გავრცელებული ენები.



ენა	ადამიანთა რაოდენობა, რომელთაც ეს ენა მოჰყალიბებდა (მილიონებში)	ენათა ჯგუფი
1. ჩინური (დიალექტები ბითურთ)	1 100	ჩინურ-ტიბეტური
2. ინგლისური	350	ინდოევროპული
3. ესპანური	250	ინდოევროპული
4. არაბული	220	სემიტური
5. ჰინდი	200	ინდოევროპული
6. ბენგალი	160	ინდოევროპული
7. პორტუგალიური	160	ინდოევროპული
8. რუსული	150	ინდოევროპული
9. იაპონური	125	იაპონური
10. გერმანული	90	ინდოევროპული
11. იავეური	80	ავსტრონეზიური
12. ფრანგული	70	ინდოევროპული
13. პანჯაბი	70	ინდოევროპული
14. ბიბარი	65	ინდოევროპული
15. კორეული	65	კორეული
16. იტალიური	60	ინდოევროპული
17. ტელუგუ	55	დრავიდული
18. ტამილური	55	დრავიდული
19. მარათჰი	50	ინდოევროპული
20. ვიეტნამური	50	ავსტროაზიური

ჩაეფლან და ისე იძინონ, და დამალვაც უფრო ეადვილებათ. ზღვის თევზებს კი უფრო უჭირს — რამდენიც უნდა ეცადონ, ფსკერამდე ვერ ჩაყვინთავენ, ამიტომაც ისინი ან ბუშტს ოდნავ ბერავენ, ან პირიქით, ჩუტავენ და ხან მუცელაღმა იძინებენ, ხან თავით ქვევით...

შემოდგომასა და ზამთარში მტკნარი წყლების ბინადარი თევზების ცხოვრება მკვეთრად იცვლება. როდესაც წყალი მდინარესა თუ ტბაში შვიდ გრადუსამდე ცივდება, თევზები თავს გამოსახამრებელ ორმოებში იყრიან, სადაც თავისებური დასაძინებელი ოთახი აქვთ მოწყობილი. შეგროვდებიან, ღორწობენ შერეულად, ღორწობენ და ისე იძინოს. ასე სძინავს, მაგალითად, დალიას, შავ თევზს. აი ზვიგენებს კი, როგორც ვარაუდობენ, არ სძინავთ არც დღე და არც ღამე, დაცურავენ ასე ზღვებსა და ოკეანეებში და წამითაც ვერ იძინებენ. თუმცა ეს მხოლოდ ვარაუდია. ვინ იცის, იქნებ, სულაც ცურვის დროს ასერნებენ გამოძინებას?

მოგეხსენებათ, თევზებს ქუთუთები არ გააჩნიათ და ბუნებრივია, ამის გამო თვალგახელილებს სძინავთ.

პასუხი — ჩვენი

სკოლიდან დაბრუნებული პიერს დედამ კითხვა:

— აბა მომიყევი, პიერ, რას აკეთებდი დღეს სკოლაში?

— ზარის დარეკვას ველოდებოდი — მიუგო პიერმა.

* * *

მასწავლებელი სიცხვეში ყველა საგანს იკუმშება, სითბოში კი ფართოვდება. ახლა კი დამისახელებთ ამ მოვლენის მაგალითები.

ნოვანეკი არღადეგები; ზაფხულში ორი თვით ხანგრძლივდება, ზამთარში კი ორ კვირამდე მცირდება.

* * *

ბეტი როგორ მიგხვდა დედა, რომ არ გაბანავია?

ბილი — საპნის დასველება დამავიწყდა.

* * *

მასწავლებელი ჯონ, რა არის, რომ ყოველდღე იგვიანებ?

ჯონი — რა ვქნა, მასწავ, სკოლაში რომ მოვივივარ, ყოველთვის მიწვევს გამოკლავ საგნაო მოძრაობის ნიშანთან, რომელსაც აწერია: „სკოლა იარეთ ნელა“.

* * *

მამა, დღეს სკოლაში მშობელთა კრებაა, მაგრამ უადრეხად ვიწრო წრისათვის.

რას ნიშნავს „უადრეხად ვიწრო წრისათვის?“

იმას, რომ კრებაზე იქნებით მარტო მასწავლებელი და შენ.

* * *

პანსი სკოლიდან ტანსაცმელ-

სიცილის ბაკვეთილი

შემოგლეჯილი დაბრუნდება.

— რა დაგემართა? შეუფოთდა მამა.

— მე და ოტომ ვინახუბეთ.

— შენი საშველი არ არის, ეტყობა, ახალი კოსტუმის ყიდვა მომიწვევს შენთვის.

ეს რაა, — თავმომწონედ თქვა პანსმა — შენ ოტო უნდა ნახო! მამამისს ალბათ ახალი შეიღის ყიდვა მოუწვევს.

* * *

— დღიური მომიტანე, ვნახოთ, ერთი რა ნიშნები გაქვს — უთხრა მამამ სკოლიდან დაბრუნებულ ანდრეს.

— პოლს ვათხოვე, მინდა, ჩემი მშობლები შევაშინო.

* * *

— დედა, მე მგონი, აღგეკის სკლეროზი დაეწყო?

— რატომ გგონია? — დღეს ორჯერ და-

იბანა ხელ-პირო.

* * *

ტოტო სკოლიდან მალე დაბრუნდა.

— რა მოხდა, რა გიხარია? — კითხვა დედამ.

— იცი, დე, მასწავლებელს ჩემი დასჯა უნდოდა, მაგრამ მკლავსო ოთახის ოთხივე კუთხე დაკავებული იყო და ვეღარ დამსახვა.

* * *

მათემატიკის გაკვეთილზე მასწავლებელმა ბაკშევებს ამოცანა მისცა: ხუთ ბაკშევს ოთხი ვაშლი აქვს, როგორ უნდა გაიყონ მათ ვაშლები თანაბრად?

— უცებ მარიუსის ხმა გაისმა:

— მე უკვე მოვიფიქრე!

— ყოჩაღ, აბა მიპასუხე!

— კომპოტი უნდა გააკეთონ.

* * *

პიერინო პურის მადახიანში შევიდა და 50 ლირის პური ითხოვა. გამყიდველმა აშკარად მოატყუა ბიჭი, წინაში დააკლო. პიერინო მიუხვდა და უთხრა, რატომ ამიწონეთ ნაკლები?

— შენთვის უკეთესი არ არის, უფრო ადვილად წაიღებ, — უთხრა გამყიდველმა.

— მართალი ხართ, დაეთანხმა ბიჭი და დახლებზე 40 ლირა დაუდო.

— ეს რა არის, — გაბრაზდა გამყიდველი, — მე ორმოცდაათი მეკუთვნოდა.

— თქვენთვის უკეთესი არ არის, უფრო ადვილად დათვლით ფულს.



გაზაფხულდა, გალაგაზდით, გობგონებო!


გაშლილი თმა გაღიზიანებთ, შეგიძლიათ ერთ ან ორ ნაწნავად დაინათო, ან პატარა ბაფთით შეიკონროთ. ნუ დაგავინყდებთ, რომ ძალიან მოკლედ შეჭრილი თმა გამოკვეთილად აჩენს თავის მოყვანილობასაც, ყურებსაც.

ალბათ, დაგვეთანხმებით, რომ თმის ვარცხნილობას ძალზე დიდი მნიშვნელობა აქვს ადამიანის, განსაკუთრებით კი გოგონას, ქალის გარეგნობისათვის. როგორი ლამაზი, კარგად ჩაცმულ-დაბურულიც უნდა იყოს, თუ თმა უხეიროდ, უგემოვნოდ გაქვთ შეჭრილ-დავარცხნილ, მთელი თქვენი მომხიბვლელობა უმოწყალოდ გაფერმკრთალდება.

რაც უფრო მოკლე და სადაა ვარცხნილობა, მით უფრო ადვილი მოსაველეია თმა. ცხადია, ვარცხნილობა, უწინარეს ყოვლისა, უნდა გისდებოდეთ. ნუ იქნება იგი ყველაზე მოდური მთელ კლასში, ნურც ისეთი, თქვენ მეგობრებს რომ აქვთ, სამაგიეროდ, ეს თქვენი მხოლოდ თქვენი ვარცხნილობა იქნება — თქვენი სახის ოვალის, შუბლის, ღანწების, თვალწარბის შესაბამისი.

თუ ძალიან მაღალი შუბლი გაქვთ — წინ შეჭრილი თმა („ჩოლკა“) მოგინდებათ. მეტისმეტად გაბერილი ლოყები მათზე ჩამოშლილი თმით დაიფარეთ. თუ დაცვეტილი ყურები გაქვთ, თმას ყურებზე ნუ გადაიწვეთ, ნურც ძალზე მოკლედ შეიჭრით.

თუ სწორი, გრძელი თმა გაქვთ, საგულდაგულოდ მოუარეთ მას, მოკლედ ნუ შეიჭრით. ისიც გაითვალისწინეთ, რომ როცა თმა მოკლედ გაქვთ შეკრეჭილი, კისერი მეტისმეტად გამხდარი და მაღალი მოჩანს, თუ



1,50 ჰ.	1,51 ჰ.	1,52 ჰ.	1,53 ჰ.	1,54 ჰ.	1,55 ჰ.	1,56 ჰ.
46 კპ.	47 კპ.	48 კპ.	48 კპ.	49 კპ.	50 კპ.	50 კპ.
1,57 ჰ.	1,58 ჰ.	1,59 ჰ.	1,60 ჰ.	1,61 ჰ.	1,62 ჰ.	1,63 ჰ.
51 კპ.	52 კპ.	53 კპ.	54 კპ.	54 კპ.	55 კპ.	56 კპ.
1,64 ჰ.	1,65 ჰ.	1,66 ჰ.	1,67 ჰ.	1,68 ჰ.	1,69 ჰ.	1,70 ჰ.
56 კპ.	56 კპ.	57 კპ.	57 კპ.	58 კპ.	59 კპ.	60 კპ.
1,71 ჰ.	1,72 ჰ.	1,73 ჰ.	1,74 ჰ.			
60 კპ.	61 კპ.	62 კპ.	62 კპ.			

მაღალი — დაბალი, მსუქანი — გამხდარი ბევრი თქვენი ფეხის სმას აყოლილი თანატოლი ნაირ-ნაირ დიეტას იცავს, უმრავლესობას გახდომა უნდა, ზოგიც მოსუქებაზე ოცნებობს, იმაზე კი ნაკლებად ფიქრობენ, რა ნონა შეესაბ

ყვინება ამა თუ იმ სიმაღლეს. გვიანდა, შემოგთავაზოთ საფრანგეთში მიღებული ნორმალური ზომა-წონის შესაბამისობის ნორმები, რომლებიც ძირითადად უფროსკლასელი გოგონებისთვის უნდა იყოს საინტერესო.

ქვედატანის შეკერვა

ქვედატანის ნახაზის ასე-
გებად საჭიროა შემდეგი
ზომების აღება:

1) წელის ნახევარგარშე-
მოწერილობა (ნ. ნ.) — 36
სმ-ს.

2) თეძოს ნახევარგარ-
შემოწერილობა (თ. ნ.) —
48 სმ.

3) ნაკეთობის სიგრძე
(ქვედატანის სიგრძე (ნ. ს.)
— 65 სმ.

წელის ხაზიდან თეძოს
ხაზამდე მანძილი უდრის
15 სმ-ს, რაც მუდმივია ნე-
ბისმიერი ზომებისათვის.

6-ნაჭრიანი ქვედატანი,
6 თანაბარი ნაჭრისაგან (ნა-
წილისაგან) შედგება, თი-
თოუელი ნაწილის სიგანე
წელთან უდრის წელის გარ-
შემოწერილობის ნახევრის
1/6 ნაწილს, რომელსაც და-
ემატება 1,5 ნაკერისათვის,
ი. ი.:

$$\frac{6}{6} \cdot 6 - \frac{15-36}{6} + 1,5 = 7,5 \text{ სმ-ს}$$


ყოველი ნაჭრის (ნაწი-
ლის) სიგანე თეძოსთან უდ-
რის თეძოს გარშემოწერი-
ლობის ნახევრის ერთ
მეექვსედ ნაწილს, რომელ-
საც დაემატება 1,5 სმ ნა-
კერისათვის. ესე იგი:

$$\frac{48}{6} + 1,5 = 9,5 \text{ სმ-ს}$$

ნახაზის აგება

1) გადავლოთ 65 სმ სიგ-
რძის ვერტიკალური ხაზი
— T, N.

2) T წერტილიდან მარ-
ცხნივ გადავლოთ წელის ხა-
ზი, გადავზომოთ ერთი ნა-
წილის ნახევარი T, T₁ მი-
ვიღებთ 7,5 სმ-ს.



3) T წერტილიდან ქვე-
მოთ გადავზომოთ 1,5 სმ
და აღვნიშნოთ იგი B წერ-
ტილით, რომლიდანაც უნ-
და გადავზომოთ თეძოს ხა-
ზი. B წერტილიდან მარც-
ხნივ გადავზომოთ ერთი ნა-
წილის ნახევარი თეძოს ხაზ-
ზე, აღვნიშნოთ B₁ ასოთი
რაც უდრის 9,5 სმ.

4) T₁, B₁ წერტილები შე-
ვავერთოთ სწორი ხაზით და
გავაგრძელოთ. N წერტი-
ლიდან მარცხნივ გადავლოთ
სწორი ხაზი T₁, B₁ ხაზის
გადაკვეთამდე და აღვნიშ-
ნოთ N₁ წერტილით.

5) N წერტილიდან ზე-
მოთ ავზომოთ 1,5 სმ და
აღვნიშნოთ N წერტილით;
N წერტილი შევავერთოთ
N₁ წერტილთან რკალისე-
ბური ხაზით, მივიღებთ კა-
ბის ბოლოს შემონაჭვრს.

ქსოვილის ბამოჭრა

განიერი ქსოვილი მო-
კვეთთ ორად სიგრძეზე, ზე-
მოთ შემოსაჭრელად მიუ-
მატეთ 1 სმ, ხოლო ქვემოთ
შემოსატეხავად 6 სმ. ამის
შემდეგ ქსოვილი კიდევ მო-
კვეთთ ორად, ამჯერად სი-

განეზე. ახლა ქსოვილი უკვე
ოთხად გაკვეთ მოკვეცილი
თარგი ისე უნდა დადოთ
ქსოვილს, რომ ნაკეცი ნა-
ზი დაუპირისპირდეს ქსო-
ვილის ნაკეცს, ხოლო და-
ნარჩენი ნაჭრები უნდა გა-
მოჭრათ გამლილები.

ქვედატანის შეკერვა

ქვედატანი იკერება შემ-
დეგნაირად: თითოეული ნა-
ჭერი უნდა შეაერთოთ ერ-
თმანეთთან ბლანდით, ხო-
ლო ნაჭრების დაბლანდვა
უნდა დაიწყოს ქვემოდან
(ქობიდან) ზევით, ნაპირი-
დან 1,5 სმ დაშორებით. მარ-
ცხნა გვერდზე 15 სმ-ს ნუ
ჩაკერავთ, იგი შესაკრავად
უნდა გამოიყენოს. შესაკ-
რავი შეგიძლიათ გააკეთოთ
ნებისმიერი დუგებითა და
ჭიკარტებით ან ელვაშე-
საკრავით, რაც უკეთება ქვე-
დატანის სათავეს. ისიც ნე-
ბისმიერად შეგიძლიათ და-
ამზადოთ. მაგრამ უმჯო-
ბესია მიაკეროთ ქამარი.


ქამარი კი შემდეგნაი-
რად მზადდება: ქსოვილი
საგან გამოჭერით წელის
გარშემოწერილობის სიგ-
რძისა და 7 სმ სიგანის
ქამარი. ქამრის ერთი მხარ-
ზე მიაკერეთ ქვედატანის
წელის გარშემოწერილობას,
დააგვირისტეთ, გადაკვეთთ
შიგნითა პირისაკენ, ნაპირი
შემოუბლანდეთ და შემ-
დეგ ხელით სუფთად ამო-
უსვიეთ, რაც შეეხება ნა-
კეთობის ქობას, ისიც უნ-
და შემოუბლანდოთ და შემ-
დეგ ხელით თევზიფხურით
ან საიდუმლო ნაკერით ამო-
უსვიეთ.

ქვედატანის შიდანაკერე-
ბი რომ არ დაიშალოს და
დაიძინდოს, ამიტომ აუცი-
ლებელია მათი ნაპირების
მარყუჟებისებური ნაკერით
ამოსვევა.

ბაზოზაღმები




ანთებული ელნათურის გარშემო საღამოს თუ ბუზსაჭერებს ჩამოჰკიდებ, — არხენად იყავი: ბუზები, კოლოები და მუმლი ვერ შეგანუხებენ, — ისინი ბუზსაჭერების მსხვერპლნი გახდებიან.




თუ სანოლის ბადე გაინელა — აიღე ბრტყელტურა და ბადის უჯრედები მიგრის-მოგრიხე, — ბადე კვლავ დაიჭიმება.

ვთქვათ, სარი უნდა ჩაასო, მინა კი მაგარი შეგხვდა. გააკეთე მაშინ ხის ისეთი სოლი, როგორიც ნახატზეა ნაჩვენები და ორ ალაგას მავთულით სარს მიაკარი; სოლს თავზე ჩაქურით ან ნაჯახის ყუით ურტყვი, — სარი თანდათან ჩავა მინაში.



წვრილი ნივთების შენახვა, რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ კარადაშიც შეიძლება, მაგრამ სჯობია — კარადას მბრუნავი თაროები გაუკეთო, — გაცილებით მალე მოძებნი შენთვის საჭირო ამა თუ იმ ნივთს.

სახრახნისით ადვილად ამოიღებ ბზარში ჩავარდნილ რკინის წვრილ საგნებს, თუ სახრახნისს დაამაგნიტებ. დამაგნიტებისათვის კი საკმარისია სახრახნისზე მაგნიტის მიღება.



იწილთ – ბიწილთ


საქართველო
1997-1998



ნახატზე მოცემულმა თოთხმეტივე საგან-მა: კარის სახელურმა, ფანქარმა, ქოლგამ, კბილის ჯაგრისმა, გაზმა, ჩაქურმა, კოვზმა, ფინჯანმა, გასაღებმა, ტელეფონის ყურმილმა, ელექტრონათურამ, ბოთლმა, მაკრატელმა, საბრაზნისმა თავისი კვალი დატოვა ხელის-გულზე.


დააკვირდით ანაბეჭდებს ხელისგულზე და გამოიცანით: რომელ ხელს რომელი საგანი ეჭირა?

ამ ათ გამოსახულებას შორის ორი აბსოლუტურად ერთნაირია. დააკვირდით და გამოიცანით — რომელი?



შვეულად:

1. 1894-1921 წ. წ. მსოფლიო ჩემპიონი ჭადრაკში მამაკაცთა შორის; 2. უდიდესი კუნძული ხმელთაშუა ზღვაში; 4. ბურთის აღმა აკვრა; 6. ბრაზილიის დედაქალაქი; 8. ქვასანაყი ანუ...; 9. წლის პირველი თვის ძველი ქართული სახელწოდება; 11. სახელმწიფო ჩრდილო აფრიკაში; 12. დიდი იტალიელი პოეტის დანტეს მუზა; 16. ქართული ხუროთმოძღვრების ძეგლი ოჩამჩირის რაიონში; 17. პარკოსანთა ოჯახის მცენარის გვარი; 21. ძუაგაბმული ჯოხი, რომლის გასმითაც ზოგი საკრავის სი-



პროსკორდი

მებს ასმიანებენ.

თარაზულად:

3. საცალფეხო ხიდი; 5. თავშესაფარი, სასაუბრო ადგილი; 7. კანაფი, რომელსაც მცნობისას იყენებენ; 10. ქართველი საბავშვო მწერალი; 11. სახელმწიფო ჩრდილო აფრიკაში; 13. მდინარე იტალიაში; 14. გაზაფხულის ყვავილი; 15. ლ. ქიაჩელის ერთ-ერთი ნაწარმოების პერსონაჟი; 16. დიდი ქართველი ისტორიკოსი-გეოგრაფი; 18. ხის ნორჩი ტოტის ქერქი; 19. ქიმიური ელემენტი; 20. ცელქი ანუ...; 23. მეცნიერება, რომელიც წარსულს ნივთიერი კულტურის ძეგლების მიხედვით სწავლობს; 24. ერთმიანი ვოკალური ნაწარმოები აკომპანემენტით; 25. ხელისგული.

„ბონი მ“

მხიარული და ხალი-სიანი ელიზაბეტ მიტჩელი — წარსულში პროფესიონალი მოცეკვავე, ტემპერამენტოანი მარსია ბარეტი — „მის შავი და მშვენიერი“ რომ შეარქვეს ლონდონში, სილამაზის კონკურსზე, მ ვ ი ზ ე ულიამი — ყოფილი მემანკენე და მომხიბვლელი და გონება-მახვილი ბობი ფარელი. აი ეს გახლავთ პოპულარული ანსამბლი „ბონი-მ“.

სახელწოდებას „ბონი-მ“ ოთხეული პოპულარული სერიალის შავკანიან გმირს, კერძოდ დეტექტივს დაესახა. უბრალოდ, მონონო, კარგად ჟღერს და ადვილი დასამახსოვრებელიაო. ბობი ფარელი ანტილიის მცირე კუნძულებზე, უფრო სწორად არუბას ციციქ-ნა კუნძულზე დაიბადა, 15 წლისამ გემზე დაიწყო მუშაობა, მრავალი ზღვა თუ ოკეანე გადაცურა, ვიდრე დიდი ხნის ოცნებას აისრულებდა.

ლიზ მიტჩელი და მარსია ბარეტი იამიკელები არიან, მეიზლ უილიამი კი ანტილიის კუნძულების ჯგუფში შემავალ მოსწერატის კუნძულზე დაიბადა.

ოთხეულის დებიუტი 1976 წელს შედგა, როცა

ნება, ფირფიტის „გამოსვლის უმაღლეს ნამოვიდა მინვევები ტელევიზიაში, გალაკონცერტებზე, დაიწყო ანსამბლის ტრიუმფალური აღმასვლა. „ბონი-მ“-ის სიმღერებმა „ბაბილონის მდინარეები“, „ბამპი“, „დედი

კული“, „ოქროს გული“, „გზების მეფე“, „ბელფასტი“, „მაიბეიკერ“, „მხატვარი“ მუსიკალურ ბესტსელერთა სიაში წამყვანი ადგილები დაიკავეს. ურნ-მუნონი აცხადებენ, „ბონი-მ“-ის წარმატება ხანმოკლეა და მალე მათი სახელიც კი აღარავის გაახსენდებაო, მაგრამ ანსამბლის თავჯანსმელოთა რიცხვი მთელ მსოფლიოში დღითიდღე მატულობდა. მისი ფირფიტების რაოდენობამ 60 მილიონს გადააჭარბა, ვერცხლის, ოქროს, პლატინის ფირფიტებს სომთვალ აღარ ჰქონდა, ხოლო მოთხოვნილებამ ზოგიერთ მის ჩანაწერზე ზენიტში მყოფი „ბოთლზის“ რეკორდიც კი მოხსნა.



პროდიუსერმა მომღერალმა ფრენკ ფარიანმა „ბონი-მ“-ის რამდენიმე სიმღერისგან შემდგარი პროგრამა ჩაწერა. საზოგადოებამ უწყომანოდ მიიღო ანსამბლის ხელოვ-

ტინის ფირფიტებს სომთვალ აღარ ჰქონდა, ხოლო მოთხოვნილებამ ზოგიერთ მის ჩანაწერზე ზენიტში მყოფი „ბოთლზის“ რეკორდიც კი მოხსნა.